



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 313

ქალაქი ქუთაისი 26 ოქტომბერი 2016 წელი

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006 – 2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა – ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006 – 2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის, გრიგოლ ქობალიანის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად:

მუხლი 1. გაუგრძელდეს უფლებამოსილება ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006-2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა – ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფს, ერთი თვის ვადით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი